გამარჯვების ნაცვლად... წაგება

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 23 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) _ “შახტიორი” (დონეცკი) 1:2 (1:0).

“დინამო”: ურუშაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, ნოდია, მესხი.

“შახტიორი”: გოვოროვი (კოროტკიხი), გოლოვკო, ანტონენკო, სალკოვი, გუბიჩი, გრიგორიევი, ბაზილევიჩი, ბარდეშინი, ევსეენკო (სტანკიავუჩუსი), ლობანოვსკი, ფადეევი.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 5:3 “შახტიორის” სასარგებლოდ.

ყოველ მარცხს, რარიგ მოულოდნელიც იყოს იგი, აქვს თავისი მიზეზები და გარკვეული კანონზომიერებაც. ასეთი მიზეზები აქვს თბილისი “დინამოს” გუშინდელ მარცხსაც, თუმცა გუნდს თითქოს ცუდად არ უთამაშია და მისი გამარჯვების საკითხიც სათუოდ არ უნდა ქცეულიყო.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა თბილისელები სრული უპირატესობით ატარებენ მატჩს, ყოველმხრივ ჯობიან მოწინააღმდეგეს, ერთი თავით მაღლა დგანან ტექნიკის, ტაქტიკის, ფიზიკური მომზადების, სისწრაფის მხრივ და ან მინიმუმი ამოაქვთ ამ დიდი უპირატესობიდან, ან ამასაც ვერ აღწევენ და ფუჭად ტოვებენ ყველაფერს, როგორც ეს, ვთქვათ, ამჯერად მოხდა.

უპირატესობას რეალიზება უნდა. საჭიროა რაღაც გარკვეული პროცენტი იერიშებისა გოლად იქცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იერიშს აზრი არა აქვს, ვინაიდან იგი უაღრესად დიდ ენერგიასა და ძალ-ღონეს მოითხოვს. აღწერა იმისა, თუ რა ტერიტორიული და ტექნიკური უპირატესობა ჰქონდათ დინამოელებს “შახტიორთან” მატჩში, ზედმეტია. თითოეულ თავდამსხმელს და მათთან ერთად ორივე ნახევარმცველსაც, სულ ცოტა, რამდენიმე რეალური მომენტი ჰქონდა აეღო მეტოქის კარი. “დინამოს” გამარჯვების გარანტია უნდა შეექმნა ადრევე, თუნდაც შესვენებამდე, მაგრამ გოლის გატანისთვის მიზანდასახული, კონკრეტული თამაშის ნაცვლად ბურთი სისტემატურად ყოვნდებოდა შეტევის გადამწყვეტ ფაზაში (მესხი, მეტრეველი, გ. სიჭინავა), ან კარში დარტყმა ყოვლად დაუშვებელი დაუდევრობით ხდებოდა (ასათიანი, ნოდია, კუტივაძე).

რა ფასი აქვს ლამაზ დრიბლინგს და ეფექტით შესრულებულ ტექნიკურ ელემენტს, თუ იგი ხიფათს არ უქმნის მეტოქეს და უშედეგოდ მთავრდება? ასე ითამაშეს დინამოელებმა, ბურთების გატანა “სახვალიო” საქმედ გახადეს და დაკარგეს 2 უაღრესად საჭირო ქულა.

თბილისელებმა მთელი ტაიმი უნაყოფო შეტევებში გაატარეს და მხოლოდ 41-ე წუთზე შეძლეს ბურთის გატანა (ნოდიამ მესხის კარგი მოწოდებით).

“შახტიორმა” თამაში გამოასწორა მეორე ტაიმის დასაწყისში, მაგრამ შემდეგ ისევ დათმო ინიციატივა და მხოლოდ კონტრიერიშებს დასჯერდა. ერთ-ერთი ასეთი საპასუხო შეტევა 84-ე წუთზე გოლით დაამთავრა გრიგორიევმა.

“დინამო”, თითქოს, ქულას კარგავდა, მაგრამ 88-ე წუთზე მის მხარეს დაინიშნა საჯარიმო დარტყმა დაახლოებით 18 მეტრს მანძილიდან და ლობანოვსკიმ დაბალი ბურთი გაგზავნა კარისკენ. ეს არ იყო ძნელი ბურთი, მაგრამ ურუშაძემ ვერ შეძლო მისი აღება და მიუტევებელი გოლი გაუშვა.

ეს მატჩი გაკვეთილად უნდა იქცეს ჩვენი გუნდისთვის!

ბ. ქორქია.
“ლელო”, 24 ივნისი, 1967 წ.